

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის _____ ივნისი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.646; N05.31.07.728; N05.31.07.740; N05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის N23
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ს :

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.646; N05.31.07.728; N05.31.07.740; N05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის N23 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01/05/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016638) და დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.646; N05.31.07.728; N05.31.07.740; N05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.646; N05.31.07.728; N05.31.07.740; N05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების მიღება.

წარმოდგენილია შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილებების შეტანა, წარმოდგენილი ცვლილებები არის არასებითი; კერძოდ: ანაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავდა ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ.კოდ: 05.31.07.646) სამშენებლოდ განვითარების და „ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის N23 დადგენილებით დამტკიცებულ განაშენიანების დეტალური გეგმაში არაარსებითი ცვლილების შეტანის მიზნით. დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს გეგმარებითი ერთეული, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთებს, საკადასტრო კოდებით: 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647. მიწის ნაკვეთზე ს/კ 05.31.07.646, დაგეგმილია საპროექტო შენობის დასმის კონტურების ცვლილება, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა დამტკიცებულ განაშენიანების დეტალური გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო ინიციატივის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წლის 14 ივნისს გამოცემულ იქნა Nბ14.14241664 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმაში ცვლილებების მიზნით ინიცირების გაცემის შესახებ“. აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს არაარსებით ცვლილებას, რადგან დაგეგმილი ცვლილება არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ არცერთ ცვლილებას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი

გიორგი წანაწყენიშვილი